



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

11 მარტი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №60

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ“, „ს“ ქვეპუნქტების, მე-10¹ (პრიმა) მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მუნიციპალური ტრანსპორტი“-მ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ (პრიმა) მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე განახორციელოს, 330 ლარის ღირებულების 366,66მ³ ბუნებრივი აირის (საწვავის) შეძენის გამარტივებული შესყიდვა.

მუხლი 2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს (ა.გოგოტიშვილი) მიღებული ბრძანების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი